საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დაფნარი

დაფნარი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი. ზ. დ. 40 მ, სამტრედიიდან 7 კმ. 677 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, აღმოჩენილია ძვ. წ. V–II სს. ნასოფლარი და სამაროვანი. 1966–73 გათხარეს (ხელმძღვ. ნ. კიღურაძე) ბუნებრივ და ხელოვნურ ტერასებზე აგებული ბათქაშით შელესილი წნული ოთხკუთხა ფაცხები. საოჯახო სამაროვნები განლაგებული იყო ცალკეულ ბუდეებად. როგორც ჩანს, საკარმიდამო ნაკვეთებზე სამარხებად გამოყენებულია ორმოებში ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად ჩადგმული საღვინე ქვევრები. იყო როგორც შედარებით მდიდრული, ისე ღარიბული სამარხები. არქეოლ. მასალა (თიხის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული, მონეტები) ადასტურებს ქონებრივ დიფერენციაციას სასოფლო თემის შიგნით. დ. ანტ. ხანის ქალაქ ვანის სას.- სამ. გარეუბანს წარმოადგენდა. მოსახლ. მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას და ჩაბმული იყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში, რასაც ხელს უწყობდა მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონ. კომუნიკაციათა სიახლოვე.

ნ. კიღურაძე